ინფორმაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგაოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამუშაოს შესახებ

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს 2023 წელს დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამის შესაბამისად, ასევე მონაწილეობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ პროგრამებში,თითოეული პროგრამა მიმართულია მუნიციპალიეტეტის მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციის,ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და ამ გზით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

2023 წელს დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამსახურის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი იქნა180000(ასოთხმოცი ათასი)ლარი, სულ 2023 წელს სამსახურის შემოსავლებმა შეადგინა 193 550 ლარი, მათ შორის 13 550 ლარი საკუთარი შემოსავლებია. საშტატო განრიგი განისაზღვრა 17 ერთეულით, ვაკანტური იყო 1,0 საშტატო ერთეული.

2023 წელს კვლავაც მკაცრი კონტროლი იქნა დაწესებული კოვიდ-19 ვირუსული ინფექციის გავრცელებაზე, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო, კერძოდ 2022 წელს დაფიქსირდა 5560 კოვიდინფიცირებული, ხოლო 2023 წ. 669 შემთხვევა. გამოჯანმრთელდა ყველა პაციენტი, გარდაცვალების შემთხვევა არ გვქონია.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კალენდარული გეგმით დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების შესრულება ასე გამოიყურება:

		2023 წელი			2022 წელი		
N	აცრები	გეგმა	შესრულება	%	გეგმა	შესრულება	%
1	ბცჟ(0-5 დღე)	352	370	105	393	409	104
2	„ბ“ჰეპ.(0-12სთ)	352	359	101	393	397	101
3	ჰექსა- 3(1 წლამდე)	367	352	95	457	444	97
4	როტა-2(1 წლამდე)	367	323	88	457	373	82
5	პნევმო-3(1წლამდე)	367	384	104	457	429	94
6	წწყ-1(1 წლის)	367	410	111	457	465	101
7	წწყ-2(5წლის)	541	485	9	498	460	92
8	ტეტრა-1(1,6წ.)	447	432	96	467	485	103
9	ტეტრა-2(5 წლის)	541	471	87	498	482	97
10	აპვ-1(10 წლის)	361	416	123	491	287	58
11	აპვ-2(10 წლის)	239	207	87	295	188	64
12	ტდ(14 წლის)	590	431	73	551	449	81

მოცვის პროცენტი დამაკმაყოფილებელია თითქმის ყველა ვაქცინისთვის, შედარებით დაბალია მოცვა როტა-2 ვაქცინისთვის (88%), რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს ვაქცინა განსაზღვრულ ასაკში კეთდება(6 თვემდე) და თუ რაიმე მიზეზის გამო დროულად ვერ გაკეთდა, შემდეგ უკვე აღარ კეთდება აცრა.

როტა-2-ის დაბალი მოცვა აქვს ს. ჭიაურს (33%), ს. კართუბანს (0%) , ს.ბაისუბანს (48%), ს.მაწიმს (46%), ს. არეშფერანს (38%).

აპვ ვაქცინის 100%-ზე მეტი მოცვა განპირობებულია იმით, რომ გეგმში არ იყო შეყვანილი 10 წლის ბიჭები, რომელთა ვაქცინაცია დავიწყეთ შუა წლიდან. შესრულების პროცენტი გაზარდა აცრილი ბიჭების რაოდენობამ.

ტდ ვაქცინის დაბალი % განპირობებულია იმით,რომ ეს ვაქცინა კეთდება უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში(14 წლის), რომლებიც ძნელად მისაწვდომები არიან.ტდ ვაქცინის დაბალი მოცვა აქვს ბავშვთა პოლიკლინიკას(34%), ს.მაწიმის (38%), ს. არეშფერანს (50%), ს.კართუბანს (54%), ს. ჭიაურს (49%).

ვაქცინებით მომარაგება წარმოებს ცენტრალიზებულად, ცივი ჯაჭვის სისტემა მუშაობს გამართულად.

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულია „ბ“ და „ც“ ჰეპატიტზე, შიდსზე და სიფილისზე 298 ორსული,(2022 წ.-305), გამოვლენილია „ბ“ჰეპატიტის 7 შემთხვევა (2022წ. -7 შემთხვევა). „ც“ჰეპატიტზე გამოკვლეულია 4702 სტაციონარული და ამბულატორიული ავადმყოფი(2022წ.-7280), დადასტურებულია „ც“ ჰეპატიტის 106 შემთხვევა, (2022წ. იყო-164). სამწუხაროდ შემდგომი მკურნალობა ჩაიტარა მხოლოდ 30 ავადმყოფმა.

რეგისტრირებულია ტუბერკულოზით დაავადების 11 ახალი შემთხვევა, (2022წ. იყო 9), ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია შესაბამისი ეპიდემიოლოგიური კვლევა, გამოკვლეული იქნა 29 კონტაქტირებული პირი.შემთხვევები უბნების მიხედვით ასე გადანაწილდა:

ლაგოდეხი-2
კართუბანი-3
აფენი-2
გიორგეთი-1
კაბალი-1
ცოდნისკარი-1
არეშფერანი -1

2023 წელს აღირიცხა ლეპტოსპიროზით ინფიცირების 12 შემთხვევა(2022 წელს იყო-8 შემთხვევა). ჩატარებული ეპიდკვლევით დაავადების გავრცელების საერთო წყარო არ გამოვლენილა. შემთხვევები გადანაწილდა შემდეგნაირად:

ლაგოდეხი-1
ფოდაანი-1
აფენი-2
ნაწისქვილარი-1
ჰერეთისკარი-1
ჭიაური-1
შრომა-1
აფენი-1
მსხალგორი-1
გიორგეთი-1
ჭაბუკიანი-1

ასევე, დადასტურდა ბრუცელოზით დაავადების 4 შემთხვევა : თელა-1, ლაგოდეხი-1, კაბალი-2 (2022 წელს იყო -5 შემთხვევა)

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა გრიპის 478 და მწვავე რესპირატორული დაავადების 3262 შემთხვევა. (2022 წელს იყო გრიპის 561 დ წმ.რესპირატორული დაავადების 2455 შემთხვევა).

აღირიცხა ჩუტყვავილას 48 შემთხვევა (2022წ. იყო 33 შემთხვევა), ქუნთრუშას 15 შემთხვევა(2022წ.-10). ასევე, დაფიქსირდა სიფილისის 9 შემთხვევა , მათ შორის 1 შემთხვევა დაფიქსირდა ორსულში (2022 წელს იყო 8 შემთხვევა).

ცხოველების მიერ დაკბენილი იყო 516 ადამიანი, ვაქცინაცია ჩაუტარდა 516, სრული კურსით აიცრა 117, არასრული კურსით 399. გახარჯულია 1476 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 637 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი.(2022 წელს დაკბენილი იყო 561 ადამიანი, ვაქცინაცია ჩაუტარდა 561, სრული 115, არასრული 445, გაიხარჯა 1569 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 430 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი).

მალარიის კონტროლის და პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 143 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი, დაავადების შემთხვევა არ გამოვლენილა.(2022წ. გამოკვლეული იქნა 148 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი). მუნიციპალიტეტის სკოლებსა და ბაღებში ჰელმინთებზე გამოკვლეულია 863 ბავშვი, გამოვლინდა 24 ინვაზირებული ბავშვი(2022წ. გამოკვლეული იქნა 630 ბავშვი, ინვაზირებული 23).

მუნიციპალიტეტში წყალსატევების საერთო ფართი შეადგენს 1164 ჰა.-ს, მ.შ. მდინარის ნაპირების და ჭალის წყლები -104,6 ჰა, თევზსაშენი ტბები -544,9 ჰა, არხები -151,5 ჰა, სხვა დანარჩენი 36,6 ჰა. ანოფელოგენური ფართია 973,3 ჰა. შესრულებულია შემდეგი საბონიფიკაციო სამუშაოები: გამოკვლეულია წყალსატევები -180 ჰა, გავრცელებულია თევზი გამბუზია -90,2 ჰა.-ზე, ამასთანავე, შემოწმებულია მეცხოველეობის ფერმები და მოსახლეობაში მსხვილფეხა პირუტყვის სადგომები 18000 $მ^2$, კოღოს გავრცელების საწინააღმდეგო სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავებულია სხვადასხვა კატეგორიის სადგომები და ბინები, ტერიტორიები სულ 100000$მ^2$.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 სილამაზის სალონი, რომლებიც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 სექტემბრის N475 დადგენილებით განეკუთვნებიან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიეტქებს, რომელთაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წაყენებული აქვთ სპეციფიკური მოთხოვნები, საანგარიშო პერიოდში დარღვევები გამოვლინდა 18 სალონში, მიეცათ გონივრული ვადა აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად, განმეორებითი შემოწმებისას დარღვევები აღმოფხვრილი იქნა. შემოწმებულია ორჯერადად ყველა სკოლა და საბავშვო ბაღი. ამჟამად დარღვევები გამოსწორებულია.

არაგადამდები დაავადებებიდან მუნიციპალიტეტში პრევალირებს 1)გულ-სისხლძარღვთა დაავადებები 2)შაქრიანი დიაბეტი 3)ალერგიული დაავადებები.

2023 წელს მუნიციპალიტეტში დაიბადა 417 ახალშობილი, 2022 წელს 443. ბუნებრივი ნამატი-0.

მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ტარდება ლექციები, საუბრები მოსახლეობის ფართო მასებისთვის.

მუნიციპალიტეტი, ზედიზედ რამოდენიმე წელია დასახელებულია ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად. მერიის მიერ დიდი ყურადღება ექცევა სპორტული

მოედნების, ტრენაჟორების,რეკრეაციული ზონების, ხარისხიანი სასმელი წყლის მაგისტალის მშენებლობა-რეაბილიტაციას. 2023 წელს დამთავრდა მუნიციპალური ფონდის თანადგომით საბავშვო ბაღის მშენებლობა ს. ჭაბუკიანში -100 ბავშვზე.

საანგარიშო პერიოდში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში რაიმე სახის ეპიდაფეთქებას და მის გავრცელებას ადგილი არ ჰქონია. ეპიდემიოლოგიური სიტუაცია სტაბილურია.

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის
დირექტორის მ/შ: ბ.ხელაძე